

ზესახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია: ტრანსფორმაცია

რეიგანიდან - ტრამპამდე

ირინა გურგენაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, სრული პროფესორი

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინა გურგენაშვილი

26. 06. 2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიების დროში ცვლილებას ანალიზებს. 1987 წლიდან - 2017 წლამდე, რონალდ რეიგანიდან - დონალდ ტრამპამდე, ამერიკის 6 პრეზიდენტის მიერ, ჯამში, 17 სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიაა მიღებული. კვლევა, ერთი მხრივ 1987 წლიდან - 2017 წლამდე ამერიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიების პრიორიტეტების ცვლილებების მიზეზებს ხსნის, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა თეორიული მიდგომებიდან, საფრთხის წონასწორობის თეორიის უპირატესობას წარმოაჩენს. კვლევა ამტკიცებს, რომ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ყოველთვის საფრთხის დაბალანსებით არის მოტივირებული. შესაბამისად, დროში იცვლება საფრთხის წყაროს იდენტიფიკაცია და არა საფრთხის მიმართ რეაგირების ფორმები. ამასთან, 2017 წელს აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ცვლილება გამოიწვია საგარეო საფრთხის იმპულსებმა, კერძოდ, ეკონომიკურად გაძლიერებული ჩინეთისა და სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებული რუსეთის რევიზიონისტულმა მცდელობებმა, რამაც გადაფარა ტერორიზმი.

ნაშრომში თვისებრივი კვლევის მეთოდებია გამოყენებული, კვლევა ეყრდნობა ქეისის შესწავლის მეთოდს, კერძოდ სხვადასხვა ტიპის ქეისის შესწავლის დიზაინიდან, ნაშრომში გამოყენებულია ამხსნელობითი დიზაინი - მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თეორიის დაშვებებსა და კონკრეტულ ფაქტებს შორის. აგრეთვე, გამოყენებულია დისკურსის ანალიზი, რომლის ფარგლებშიც შესწავლილია, როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების დოკუმენტები, ისე პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლები და მიმართვები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ამერიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია, ზესახელმწიფო, საფრთხის წონასწორობა, საფრთხის იდენტიფიკაცია.

Abstract

Presented paper analyzes changes of United States' National Security Strategies in time. During 1987-2017 years, from Ronald Reagan to Donald Trump, 17 strategies have been adopted by 6 presidents in total. On the one hand, research explains reasons of the priority changes of United States strategies from 1987 to 2017 and on the other hand, outweighs advantage of the risk equilibrium theory from different theoretical approaches. Paper argues that the US national security strategy is always moved by the balance of threats. Therefore, thing that changes in time is the identification of source of the threat, not the forms of reaction on them. In addition, change of the US national security strategy in 2017 was caused by foreign policy impulses. Namely, by economically strengthened China's and militarily enhanced Russia's revisionist attempts, which covered up terrorism.

Paper is based on qualitative research methods. Namely, it uses explanatory case study design as it looks for the causality between theory and actual facts. Apart from this, security strategy documents and speeches of US presidents are analyzed through discourse analysis method.

Main keywords: US National Security Strategy, Great Power, Balance of the Threat, Threat identification.